ქართველი მხატვრების გამოფენა

# ჯაფარიძე

თბილისი
1961

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი
საქართველოს სსრ მხატვართა ფონდი
საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლი

ეკატერინე ბაღდავაძე
პეტრე დათებაშვილი
გიორგი (გაიოზ) კოტრიკაძე
ვლადიმერ ტოროტაძე
გრიგოლ ჩირინაშვილი

ЕКАТЕРИНА БАГДАВАДЗЕ
ПЕТР ДАТЕБАШВИЛИ
ГЕОРГИЙ (ГАЙОЗ) КОТРИКАДЗЕ
ВЛАДИМИР ТОРОТАДЗЕ
ГРИГОРИЙ ЧИРИНАШВИЛИ

СОЮЗ ХУДОЖНИКОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ФОНД ГРУЗИНСКОЙ ССР
ДОМ РАБОТНИКОВ ИСКУССТВ
ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთი ქართველი მხატვრის
სურათების გამოფენა

# კატალოგი

თბილისი
1961

# ВЫСТАВКА РАБОТ
# ПЯТИ
# ГРУЗИНСКИХ ХУДОЖНИКОВ

## К А Т А Л О Г

Т Б И Л И С И
1961 г.

შესავალი წერილი
კატალოგი და რედაქცია
შალვა კვასხვაძისა

Вводная статья
Каталог и редакция
Ш. К. КВАСХВАДЗЕ

ტაბულები გადიღო და დაიბეჭდა საქართველოს
სსრ პოლიგრაფიის სამმართველოს
ცინკოგრაფიაში.

ქართულ კულტურას საუკუნეების მანძილზე, სასიცოცხლო ძალას, ყოველთვის ხალხთან — ცხოვრებასთან — კავშირი სძენდა. ეს კავშირი ევლინებოდა უკვდავების მიმნიჭებლად ქართულ ხელოვნებას და ლიტერატურასაც. ამ კავშირმა, ჟამთა ქარცეცხლში, ძლევამოსილად გამოატარა ქართული კულტურა და მანვე უზრუნველჰყო ამ კულტურის უკვდავება... ამ ტრადიციას. საჭიროა, რომ ჩვენს დროშიაც შეუნარჩუნოთ სავალდებულო ნორმის ძალა.

თავის საარსებო ძალას ახალი დროის ქართული მხატვრობა სწორედ ამ კავშირით მოიპოვებდა ხოლმე: მასაც, ყოველთვის ხალხის ცხოვრება და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის აზრი შთააგონებდა. აღსანიშნავია, რომ ქართულ მხატვრობას, ისევე. როგორც მწერლობას ყოველთვის ასულდგმულებდა ხელოვნების ხალხზე სამსახურის იდეალები.

დიდი ილიას მიერ დასახული პროგრამა: — „არა მარტო ტკბილ ხმათათვის“ ჰანგებზე ამღერებისა, ქართული მხატვრობის მოქმედების პროგრამაც იყო... ახალი დროის ქართული მხატვრობა, მიუხედავად რევოლუციამდელი რუსეთის ცხოვრების მძიმე პირობებისა, მთელი თავისი არსებით, მაინც ხალხის ესთეტიკური აღზრდისა, ამაღლებისა და განათლებისათვის იბრძოდა.

ჩვენამდე შემონახულია არა ერთი გადმონაცემი იმას შესახებ, თუ, როგორ ავიწროებდა მეფის ხელისუფლება, მორალურად და ფიზიკურადაც კი, ჩვენს მხატვრებს — ა. მრევლიშვილს, ან. გოგიაშვილს, მ. თოიძესა და სხვებს.

სანუკვარ ოცნებას ახალი დროის ქართველი მხატვრებისა წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და მისი ცისა და მიწის მხატვრული ასახვა, მაგრამ ამ მისწრაფებას მაშინ არსებული რეჟიმი ეღობებოდა წინ... და მიუხედავად ამისა, ქართულ რეალისტურ მხატვრობას, მაინც არ უღალატნია არაოდეს ხალხურობისა და ცხოვრების სიმართლით ასახვის იდეალისათვის.

ქართველი მხატვრების საუკუნოებრივი ოცნება და ფიქრი, საქმედ მხოლოდ ჩვენს დროში იქცა... საქართველოს სამხატვრო აკადემიამ, აღზარდა და გამოავლინა, არა ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა. დანერგა სიყვარული ცხოვრებისა, დანერგა შეგნება ქართული სახვითი კულტურის რეალისტური გზით წარმართვის აუცილებლობისა.

დღეს, ქართველ მხატვრებს, უშრეტ შემოქმედებით ძალას სძენს ხალხზე სამსახურისა და ქართული მხატვრობის განვითარების ახალსა და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის აუცილებლობის შეგნება.

დღეს ქართველ მხატვართა უმრავლესობას, — წამყვან ძალას ჩვენი მხატვრობისას,—ცხოვრებასთან კავშირის იდეები, ცხოვრების უშუალო შესწავლა და მის საფუძველზე სინამდვილის მაღალ-მხატვრული შემოქმედებითი ასახვა ამოძრავებს, ამოძრავებს სიყვარული ჩვენი ყოფისა.

ხუთი მხატვრის — ე. ბაღდავაძის, პ. დათებაშვილის, გ. კოტრიკაძის, ვ. ტოროტაძის და გ. ჩირინაშვილის — ნაწარმოებთა გამოფენა, მიძღვნილი საკავშირო კპ XXII ყრილობისადმი. გამართული საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში, სწორედ ჩვენი ქვეყნის ადამიანთა ცხოვრებისა და ბუნების სილამაზით არის შთაგონებული. ეს გამოფენა აღვსილი იყო ოპტიმისტური, პოეტური ინტონაციებით. იგი წარმოადგენდა თავისებურ — პლასტიკურ სიმღერას, თქმულს უანგაროდ და მთელი შთაგონებით, თქმულს გულითა და სიყვარულით.

გამოფენა იყო უკეთესი მაჩვენებელი ჩვენი მხატვრობის ცხოვრებასთან ცოცხალი კავშირისა. გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები შექმნილი იყო მოგზაურობათა და შემოქმედებითი მივლინებების პირობებში— ადგილზევე, სინამდვილის პირისპირ. სწორედ ამიტომ. ამ გამოფენის უკეთეს მხარეს, ჩვენი ცხოვრებისა და

გარემომცველი სინამდვილის მხატვრული ასახვის ცდა შეადგენდა.

ხუთი მხატვრის გამოფენა ჟანრობრივადაც მეტად მრავალფეროვანი და მდიდარი იყო. მნახველი, აქ ხედავდა ცხოვრების ამსახველ სურათებს. აქ იყო თვალწარმტაცად და ახლებურად დანახული პეიზაჟები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისა — ქალაქებისა და სოფლებისა.

აქ იყო არქიტექტურა და ველები, ბაღები და ტყეები, ინდუსტრიული მშენებლობანი და ჩვენს წინაპართა მიერ ნაგები არქიტექტურა — და ყველაფერი ეს აქ ასახული იყო ისე, როგორც ჰიმნი მიძღვნილი ადამიანის შრომის აზრისა და ძალისადმი... აქვე იყო გამოფენილი პორტრეტები და ყოფითი სცენებიც კი... ჩანდა, რომ ყველაფერი ეს შთაგონებული იყო ჩვენი სინამდვილის მომხიბვლელობითა და მისი სიყვარულით.

როცა ამ ხუთი მხატვრის გამოფენას უცქერდით, გჯეროდათ, რომ მის მონაწილე მხატვრებს მოუნახავთ ახალი, პოეტურად მეტყველი კონცეპცია და საშუალებანიც გამოსახვისა. მოვლენები აქ მხატვრებთან დანახული იყო არა მარტო ახლებურად, არამედ განცდილიც იყო ახლებურად. გამოფენაზე ფერადები მთელი ხმით იყო ამღერებული. ფერადები აქ, ოპტიმისტურად, სასიხარულოდ — მაჟორში ჟღერდა და ყოველ სურათს მზით ალავსებდა.

ხუთის გამოფენა საერთოდ, დიდი თვალსაჩინოებით ადასტურებდა რეალისტური მხატვრობის მრავალმხრივ-

სა და მრავალფეროვან შესაძლებლობებს: ადასტურებდა, რომ რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი, ნამდვილად არის ის ერთადერთი მეთოდი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მხატვრის შემოქმედებით თავისუფლება...

გამოფენაზე წარმოდგენილი ხუთივე მხატვარი, ინდივიდუალობითა და საკუთარი ხილვით ხასიათდებოდა, მათ აქ გააჩნდათ საკუთარი ხმა — ესოდენ საინტერესო, მხატვრული, ემოციური, პოეტური და ფერადოვანი.

ამ გამოფენის მოწყობით, საქართველოს მხატვართა კავშირმა და მხატვართა ფონდმა მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა — გამოფენამ ერთხელ კიდევ დიდი დამაჯერებლობით განამტკიცა, პოზიციები ქართული რეალისტური მხატვრობისა.

Грузинскую культуру, на протяжении веков, жизненными соками питала связь с жизнью народа. Связь эта, грузинскую литературу и искусство наполняло бессмертием и окружала ореолом славы.

Именно эта связь пронесла и сохранила культуру Грузии сквозь огненный вихрь веков; это, она обеспечила ей вечное существование. Такую связь, необходимо сохранять и в наши дни, как зеницу ока, как обязательную норму.

И грузинское искусство нового времени, опору и силу находило всегда именно в этой связи с жизнью, ее питали жизнь народа и идеи борьбы за лучшее будущее.

Грузинское искусство также, как и грузинская литература боролась за народность... идей, намеченные великим мыслителем и поэтом И. Чавчавадзе, — для литературы о беззаветном служении

поэзии народу, оставались програмным и для грузинских художников.

И в дооктябрьский период, грузинское изобразительное искусство, невзирая на тяжелые условия, последовательно и упорно боролась за эстетическое воспитание и просвещение народа.

Сохранившиеся сведения, свидетельствуют не только о моральном притеснении властями художников дореволюционной Грузии, но и о их физическом притеснении, так притесняли художников— А. Мревлишвили, Ан. Гогнашвили, М. Тоидзе и др., не давая им возможности работать и отображать жизнь народа.

Заветной мечтой грузинских художников нового времени, являлось отображение жизни народа, пейзажа родной земли, но на этом пути, непреодалимым препятствием стоял режим самодержания.

Грузинское реалистическое изобразительное искусство, невзирая на это никогда не впадало в рабство, не изменяло идеям народности и принципам правдивого, художественного отображения действительности.

Вековая мечта грузинских художников, сбылась лишь только в нашу великую эпоху... Академия художеств Грузии воспитала и выявила талантливую молодежь, Академия привила им любовь к жизни и сознание необходимости направить гру-

зинское изобразительное искусство по пути реализма.

Грузинских художников и на сегодня неиссякаемой творческой энергией двигает и вдохновляет сознание необходимости служения искусства народу, сознание необходимости поднять искусство на новую, более высокую ступень развития.

Ведущее большинство грузинского художников, двигают идеи связи искусства с жизнью, идеи непосредственного изучения жизни, идеи правдивого отображения действительности в высокохудожественой форме.

Выставка пяти — Э. Багдавадзе, П. Датебашвили, Г. Котрикадзе, В. Торотадзе и Г. Чирнашвили — открывшаясьья в доме работников искусств Грузии и посвященная XXII-му съезду КПСС, всецело дышет любовью к нашей действительности, к людям, к природе нашей Родины.

Выставка полна звучания, она поэтична, она являет собою песню лирико-пластического плана, вдохновленного любовью к родному народу.

Выставка эта является лучшим показателем живой связи современного грузинского искусства с действительностью. Вся выставка создана в дни путешествия по стране, в дни творческих командировок на местах... Поэтому, именно лучшую сторону данной выставки являет ее целеустремлен-

ность — творчески и правдиво отобразить нашу действительность·

Выставка пяти — богата и многообразна и в жанровом отношении... Тут мы находим полотна, отображающие как новый быт и пейзаж страны, преображенный трудом человека — города и деревни с их архитектурой и садами, полями и лесам и с новостройками, так и архитектурные памятники старины...

На выставкевсе это звучит как пластический гимн, посвященный человеческому труду. Чувствуется, что вся выставка вдохновлена сознанием величия нашей действительности.

Смотря выставку, посетитель убеждается, что участникам выставки удалось выявить новую, поэтически выразительную концепцию; тут художники, явления видят не только по новому, но и переживают ее по советскому.

На выставке палитра участников звучит полно и широко, оптимистично, все полотна залиты солнцем и светом.

Выставка пяти, с большой наглядностью подтверждает возможности и многогранность реалистического творческого метода, подтверждает, что лишь реализм может являться тем творческим методом, который обеспечивает художнику творчес-

кую свободу, свободу индивидуального видения мира.

Все художники, представленные на выставке, индивидуальны, проявляют для каждого в отдельности характерное выдение, каждый из них по своему глубоко эмоционален, поэтичен и живописен.

Устроители выставки — Союз художников Грузии и художественный фонд Грузии, проделали большую и полезную работу.

Эта выставка пяти, с большой убедительной силой подтверждает правоту, незыблимость и силу реалистического искусства, подтверждает могущество и его большое возможности.

## ეკატერინე ბაღდავაძე

## ЕКАТЕРИНА БАГДАВАДЗЕ

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ეკატერინე ნიკოლოზის ასული ბაღდავაძე (დაიბადა 1916 წ.). ქართული საბჭოთა მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

იგი ფერწერული ხილვის ოსტატია, მეტად მრავალფეროვანია მისი თემატიკაც.

სამხატვრო განათლება ეკატერინე ბაღდავაძემ მიიღო საქართველოს სამხატვრო აკადემიაში. აქ სწავლობდა იგი სახალხო მხატვრების აკადემიკოსების მ. ი. თოიძისა და უ. მ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. აკადემიის დამთავრების (1940 წ.) შემდგომ იგი დატოვილი იქნა ასპირანტურაში.

ეკატერინემ მუშაობის შედეგები დიდი წარმატებით აჩვენა (1946 წ.).

მომდევნო წლებში, ეკატერინე მთელი არსებით მიეცა ფერწერის საქმეს და მონაწილეობდა არა ერთსა და ორ საკავშირო თუ რესპუბლიკურ გამოფენაზე.

ე. ბაღდავაძის სურათები დაცულია რესპუბლიკის მუზეუმებსა და გალერეებში.

ბაღდავაძე, დიდი წარმატებით მუშაობს წიგნის გრა-

ფიკის დარგშიაც. მისი ილუსტრაციები ხასიათდება არტისტიზმითა და მჟღერი ფერადოვნებით.

ე. ბაღდავაძის დაზგური ფერწერა, მეტად მრავალფეროვანია, როგორც თემატურად ისევე ჟანრობრივადაც...

ფაქიზი, პოეტური და საოცრად მუსიკალურია მისი ფერწერაც, იგი ძვირფას, ფერად-ფერად ქვებივით ელვარებს და აღვსილია ლირიკული ინტონაციებით.

1. მინდვრის ყვავილი — პორტრეტი. — ტილო. ზეთი. — 90×65
2. დასვენების დღე — ტილო. ზეთი. — 25×30
3. ქარიანი დღე — ტილო. ზეთი. — 53×43
4. სოფელში — ტილო. ზეთი. — 17×20
5. მშვიდობის ფერხული — ტილო. ზეთი. — 37×55

1. **Полевые цветы** — Портрет — холст, масло — 90×65
2. **День отдыха** — холст, масло — 25×30
3. **Ветренный день** — холст, масло — 53×43
4. **На селе** — холст, масло — 17×20
5. **Хоровод мира** — эскиз — холст, масло — 37×55



მინდვრის ყვავილები
Полевые цветы

ტ. ზ.
Х. М.



დასვენების დღე
День отдыха

ხ. ზ.
Х. М.

# პეტრე დათებაშვილი

# ПЕТР ДАТЕБАШВИЛИ

პეტრე სტანისლავის ძე დათებაშვილი (დაიბადა 1915 წ.), ქართული საპეიზაჟო ჟანრის დაუცხრომელი მხატვარია. მას კიდით-კიდემდე მოუვლია საქართველო და მისი ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტით ათრთოლებულა; მას თავის ტილოების უმრავლესობა შექმნილი აქვს ლანდშაფტთან პირის-პირ დგომისას.

პეტრე დათებაშვილმა, საქართველოს სამხატვრო აკადემია დაამთავრა 1939 წ.; იქ მას ფერწერას ასწავლიდა მეტად მრავალმხრივი მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — აწ განსვენებული ვალერიან სიდომონ-ერისთავი.

მომდევნო დროში დათებაშვილი მონაწილეობდა თითქმის ყოველ საკავშიროსა და რესპუბლიკურ გამოფენებზე. მისი სურათები ინახება ჩვენი ქვეყნის მუზეუმებსა და გალერეებში.

პ. დათებაშვილის შემოქმედება, მთლიანად მიძღვნილია უბადლო ქართული პეიზაჟის ასახვისადმი. იგი მარტოოდენ ამ ჟანრში მუშაობს. დათებაშვილი ქართული პეიზაჟის მომღერალია, — პეიზაჟი ხიბლავს მის აზრსა და ფიქრს.



კახეთი—ალაზნის ველი
Кахети—Алазанская долина

ხ. მ.
Х. М.



რაჭა—ალპანა
Рача—Алпана

ტ. ხ.
Х. М.

# გიორგი (გაიოზ) კოტრიკაძე

## ГЕОРГИЙ (ГАЙОЗ) КОТРИКАДЗЕ

გიორგი (გაიოზ) არსენის ძე კოტრიკაძე (დაიბადა 1915 წ.) თვალსაჩინო წარმომადგენელია ქართული ჟანრული სურათისა. კოტრიკაძემ ქართულ მხატვრობაში მოსვლის პირველ დღიდანვე, საასპარეზოდ აირჩია ჟანრული სურათი, მაგრამ ამის მიუხედავად იგი წარმატებით მუშაობდა პეიზაჟებზედაც.

სამხატვრო აკადემიაში მას ასწავლიდნენ — ქართული მხატვრობის ბრწყინვალე წარმომადგენლები: განსვენებული დ. კაკაბაძე და სახალხო მხატვარი აკადემიკოსი უ. ჯაფარიძე.

სამხატვრო აკადემიის დამთავრებიდან (1941 წ.) მომდევნო დროში, კოტრიკაძე, მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო ერთგვარად მოწყდა თავის საყვარელ საქმეს — მხატვრობას, მაგრამ მას, საყვარელ საქმისათვის თავი არ მიუნებებია და იშვიათად, მაგრამ მაინც ნახულობდა ხოლმე დროს ფერწერაში სამუშაოდ. იგი შინაგანად ყოველთვის მხატვრის ცხოვრებით ცხოვრობდა.

გ. კოტრიკაძის მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილი სურათები თვალსაჩინო ჟანრული კომპოზიციებია და წარმოადგენენ ერთგვარ წვლილს შეტანილს მხატვრის მიერ ამ ჟანრის განვითარების საქმეში.

მათ ახასიათებთ საინტერესო სიუჟეტური აგება, პერსონაჟთა მეტყველი დახასიათება, მშვიდი ფერწერული გამა. ეპიურია მისივე პეიზაჟებიც.

გ. კოტრიკაძე ქართული საჟანრო სურათის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი სურათისათვის დამახასიათებელია წერის მინიატურული მანერა და დეტალის ხაზ-გასმა, სურათის მთლიან შინაარსთან სრული შესატყვისობით. მის კომპოზიციებს ახასიათება თხრობითობა.

1. მხატვრის დღე. — თბილისი. —
ეტიუდი. - მუყაო. ზეთი. - 50×38
2. ალვის ხეები. — თბილისი —
პეიზაჟი. — ეტიუდი. მუყაო. ზეთი. — 40×50
3. ნავმისადგომი. — მდინარე მტკვარზე. —
მუყაო. ზეთი. — 40×50
4. სანაპირო. — ხიდი მეტეხზე. —
ტილო. ზეთი. — 50×112
5. მშენებლობა. — საქართველოს სსრ მიღწევათა გამოფენის ტერიტორია. — ტილო. ზეთი. — 40×50
6. თბილისის მიდამოები. — წყნეთი. —
მუყაო. ზეთი. — 38×50
7. სანაპიროს მშენებლობა. — თბილისი. —
მუყაო. ზეთი — 18×35
8. ბალერინა. — ესკიზი. — მუყაო. ზეთი. — 30×22
9. მინდვრის ყვავილები. —
ეტიუდი. — მუყაო. ზეთი. — 30×19
10. ჩვენი ახალგაზრდობა. — გამოცდების წინ. —
ესკიზი. - - ტილო. ზეთი. — 66×45
11. ვ. ი. ლენინი. — ცეცხლიანი დღეები. —
ესკიზი. — მუყაო. ზეთი. — 30×20
12. ვაჟა მეამბოხე მთიულებთან 1905 წელს. —
ესკიზი. — ტილო. ზეთი. — 30×20
13. ბახაობის შემდეგ. —
ეტიუდი. — მუყაო. ზეთი. — 15×31
14. გაგრა. — პლიაჟი. — მუყაო. ზეთი. — 21×50

15. ფიქრები მომავალზე. — მუდამ ერთად. —
ტილო. ზეთი. — 20×26

16. ფიქრი წარსულზე. — ტილო. ზეთი. — 30×19

17. ნანა — მხატვრის ქალიშვილი. —
მუყაო. ზეთი. — 30×27

18. წყლის ქალღმერთი. — მუყაო. ზეთი. — 36×26

19. თბილისი. — ხედი მეტეხზე. —
ეტიუდი. — ტილო. ზეთი. — 21×50

20. ზღვა და ცა. — ეტიუდი. — მუყაო. ზეთი. — 30×20

21. ფიჩხის მოსატანად. — მუყაო. ზეთი. — 30×21

22. ლ. ნ. ტოლსტოი იასნაია პოლიანაში. —
ესკიზი. — ტილო. ზეთი. — 30×21

23. შეხვედრამდე! — მუყაო. ზეთი. — 30×29

24. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ხიდი. —
ეტიუდი. — ტილო. ზეთი. — 21×50

25. ოცნება. — ესკიზი. — ტილო. ზეთი. — 30×21

26. ნახირი. — ეტიუდი. — მუყაო. ზეთი. — 30×21

27. ვერ მოარტყეს. — მუყაო. ზეთი. — 20×21

28. დამაცადეთ. — ესკიზი. — მუყაო. ზეთი. — 30×20

29. ქალაქის ბაღში. —
ესკიზი. — მუყაო. ზეთი. — 36×26

30. ეტიუდებზე. — მხატვარი ქალი. —
ეტიუდი. — მუყაო. ზეთი. — 30×21

31. ნორჩი ნატურალისტები. —
მუყაო. ზეთი. — 36×26

32. ხელი არ მახლო! — მუყაო. ზეთი. — 30×20

33. კარლ მარქსის ხიდის რეკონსტრუქცია. —
ეტიუდი. — მუყაო. გუაში. — 40×60
34. მეტეხი. — ძველი თბილისი. —
მუყაო. გუაში. — 40×60
35. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. —
ეტიუდი. — მუყაო. გუაში. — 60×40
36. სოფლის ალმართი. — მუყაო. გუაში. — 60×40
37. ზღვაზე. — ჩანახატები. —
ქაღალდი. გუაში. — 20×40
38. ყვავილნარში. — მუყაო. გუაში. — 33×20
39. მხატვრის სახელოსნოში. —
მუყაო. გუაში. — 30×20
40. მამაკაცის ფიგურა. —
ესკიზი კომპოზიციისათვის. — მუყაო. გუაში. — 33×20
41. ნ. ბარათაშვილის ქუჩა. —
ეტიუდი. — მუყაო. გუაში. — 40×60
42. მშენებლობა. —
ეტიუდი. — მუყაო. გუაში. — 40×20

1. **День художника — Тбилиси — этюд —**
картон, масло,— 50×38
2. **Пейзаж — Тополя — Тбилиси — этюд —**
картон, масло — 40×50
3. **Пристань — Торжества на Куре —** картон,
масло — 40×50
4. **Набережная — Вид на Метехи —** холст,
масло — 50×112

5. Строительство — на территории строительства — «Выставка Достижения Грузинской ССР» — холст, масло — 40×50
6. Окрестности Тбилиси — Цхнети — картон, масло — 38×50
7. Стройка Набережной — Тбилиси — картон, масло — 18×35
8. Балерина — эскиз — картон, масло — 30×22
9. Полевые цветы — этюд — картон, масло 30×19
10. Наша молодежь — Перед сесиями — эскиз — холст, масло — 66×45
11. В. И. Ленин — Огненные дни — эскиз — картон, масло — 30×20
12. Важа Пшавела с воставшими горцами — 1905 г. — эскиз — холст, масло — 30×20
13. На пляже — этюд — картон, масло — 15×31
14. Гагры — Пляж — картон, масло — 21×50
15. Думы о будущем — «Вечно неразлучно» — холст, масло — 36×25
16. Дума о прошлом — холст, масло — 30×19
17. Нана — Дочь художника — холст, масло — 36×26
18 Богиня реки — картон, масло — 36×26
19. Тбилиси — Вид на Метехи — этюд — холст, масло — 21×50
20. Море и Небо — этюд — картон, масло — 30×21

21. За хворостом — картон, масло — 30×21
22. Л. Н. Толстой — В Ясной Поляне — эскиз — холст, масло 30×21
23. «До будущих встреч» — картон, масло — 30×29
24. Мост им. Николоза Бараташвили — этюд — холст, масло 20×50
25. Мечты — эскиз — холст, масло — 30×21
26. Стадо — Этюд — картон, масло — 30×21
27. Не попали! картон, масло — 30×21
28. Подождите! — эскиз — картон, масло -20×20
29. В городском саду — эскиз — картон, масло — 36×26
30. На этюдах — Художница — этюд — картон, масло — 30×21
31. Юные натуралисты — картон, масло — 35×26
32. Не тронь меня! — картон, масло — 30×20
33. Реконструкция Моста им. К. Маркса — этюд — картон, гуашь — 40×60
34. Старый Тбилиси — Метехи — картон, гуашь — 40×60
35. Музей искусств Грузии — этюд — картон, гуашь — 40×60
36. Сельский подъем — картон, гуашь — 60×40
38. В окружении цветов — картон, гуашь — 30×20

39. **В мастерской художника** — картон, гуашь — 30×20

40. **Мужская фигура** — эскиз — картон, гуашь 30×20

41. **Улица им. Николоза Бараташвили** — этюд — картон, гуашь — 40×60

42. **Строительство** — этюд — картон, гуашь — 40×60



ვაჟა ფშაველა მთიულეთში—905 წ. ხ. მ.
Важа Пшавела в Мтиулетии—905 г. Х. М.



ხელი არ წამავლო!
Не тронь меня!

ტ. ბ.
Х. М.

# ვლადიმერ ტოროტაძე

# ВЛАДИМИР ТОРОТАДЗЕ

ვლადიმერ ერასტის ძე ტოროტაძე (დაბადა 1918 წ.) ქართული მხატვრობის საინტერესო წარმომადგენელია — ფერწერა და გრაფიკა — მხატვრის შემოქმედებითი სტიქიაა.

სამხატვრო განათლება ვ. ტოროტაძემ საქართველოს სამხატვრო აკადემიაში მიიღო. აქ მას ხატვისა და ფერწერის საქმეს ასწავლიდნენ დიდად განათლებული მხატვარი, შესანიშნავი ფერმწერალი პროფესორი დ. ნ. კაკაბაძე, სახალხო მხატვრები: უ. მ. ჯაფარიძე, ს. ს. ქობულაძე და ვ. ბ. თოფურიძე.

აკადემიის დამთავრების (1943 წ.) შემდგომ, ტოროტაძე წარმატებით მუშაობს დაზგურ ფერწერასა და წიგნის ილუსტრაციაზე. მონაწილეობს საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე.

მისი სურათები დაცულია მუზეუმებსა და გალერეებში.

მის კალამს ეკუთვნის არა ერთი და ორი ისეთი თემატური კომპოზიცია და საპეიზაჟო სურათი, რომლებშიაც თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი მხატვრის შესაძლებლობანი კომპოზიციასა და ფერწერაში.

ტოროტაძეს ეხერხება ფერების მთელი ხმით ამღერება და მათი შერწყმა-გამთლიანება. ეხერხება პეიზაჟის სახასიათო და ლირიკული დანახვა.

ვ. ტოროტაძის სურათებში არის რაღაც ინტიმური და განუმეორებელი.

1. ახალი თბილისი — გმირთა მოედანი —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
2. თიანეთის მინდვრები —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
3. ძველი თბილისი — ფეთხაინის მხარე —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
4. ძველი თბილისი — ნარიყალა —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 42×55
5. სოფლად — ქვევრთან — ჩანახატი —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
6. ცხენოსანი ქალები — მგზავრის შთაბეჭდილებანი. —
ქაღალდი. გუაში. — 55×42
7. თიანეთი — პეიზაჟი —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
8. ბაზრობაზე —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
9. თბილისი უნივერსიტეტის ფასადი. —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
10. ძველი თბილისი. — მეტეხი. —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 55×42
11. თბილისი. — სანაპირო. —
ქაღალდი. გუაში. ფანქარი. — 42×55

1. **Новый Тбилиси — Площадь Героев —**
бумага, гуашь, карандаш — 55×42
2. **Поля Тианети** — бумага, гуашь, карандаш —
55×42

3. **Старый Тбилиси — Петхаинская сторона —** бумага, гуашь, карандаш — 55×42
4. **Старый Тбилиси —** Нарикала — бумага, гуашь, карандаш — 42×55
5. **В деревне — У квеври — зарисовки —** бумага, гуашь, карандаш 35×42
6. **Всадницы — Впечатление путника —** бумага, гуашь, карандаш — 55×12
7. **Тианетский пейзаж** — бумага, гуашь, карандаш 55×42
8. **На базаре** — бумага, гуашь, карандаш — 42×55
9. **Тбилиси — Фасад Университета Грузии —** бумага, гуашь, карандаш — 55×42
10. **Старый Тбилиси** — Метехи — бумага, гуашь, карандаш — 55×42
11. **Тбилиси — набережная** — бумага, гуашь, карандаш — 55×42



ახალი თბილისი—გმირთა მოედანი ქ. ნ. გ

Новый Тбилиси—Площадь Героев Б. У. Г



ძველი თბილისი--ნარიყალა
Старый Тбилиси—Нарикала

ქ. ნ. გ.
Б. У Г.

# გრიგოლ ჩირინაშვილი

# ГРИГОРИИ ЧИРИНАШВИЛИ

გრიგოლ ალექსანდრეს ძე ჩირინაშვილი (დაიბადა 1917 წ.) ინდივიდუალიზირებული ხმის მხატვარია.

მრავალმხრივია იგი დაზგური ფერწერა, წიგნის ილუსტრაცია თუ დაზგური გრაფიკა — მისი ასპარეზია.

სამხატვრო განათლება ჩირინაშვილმა საქართველოს სამხატვრო აკადემიაში მიიღო. აქ მას ასწავლიდნენ სახალხო მხატვრები უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე, ვ. თოფურიძე.

ჩირინაშვილი აკადემიის დამთავრების (1943 წ.) შემდგომ მონაწილეობს საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე. მისი ნაწარმოებები დაცულია მუზეუმებსა და გალერეებში.

ჩირინაშვილი დიდი წარმატებით მუშაობს წიგნის დასურათების საქმეზედაც. მეტად საინტერესო და მეტყველია მისი ილუსტრაციები. ისინი აჩვენებენ მხატვრის მაღალ გემოვნებასა და რეალისტურ თვალს.

წარმატებით მუშაობს იგი ასევე საპეიზაჟო, საპორტრეტო, საყოფაცხოვრებო და ისტორიულ ჟანრზედაც.

გ. ჩირინაშვილის ფერწერა საპირისპიროდ მისი რამდენადმე დეკორატიული გრაფიკისა ხასიათდება გამის მოძებნილობით და მთლიანობით.

ჩირინაშვილის მხატვრობისათვის დამახასიათებელია სურათის ფსიქოლოგიური ასპექტით ხილვა და ამის შესატყვისად, პერსონაჟთა პლასტიკური დახასიათება.

1. **ძველი თბილისი. — მეტეხი** — მასალა ლიტოგრაფიისათვის. — ქაღალდი, გუაში, ნახშირი, — 75×55

2. **კოლმეურნე ქალები.** — ჩანახატი. — მუყაო, პასტელი. — 80×50

3. **ახალი თბილისი. — ვაკის პარკი.** — მასალა ლიტოგრაფიისათვის — ქაღალდი, გუაში, ნახშირი. — 74×54

4. **ახალი თბილისი. — ვერის ახალი ხიდი.** — მასალა ლიტოგრაფიისათვის. — ქაღალდი, გუაში, ნახშირი, — 70×55

5. **ვაჟა-ფშაველა. — პორტრეტი.** — ნახშირი, — 70×55

6. **ახალი თბილისი.—ცირკის შენობა.** — მასალა ლიტოგრაფიისათვის. — ქაღალდი, გუაში, ნახშირი, — 70×54

7. **ძველი თბილისი. — ჩრდილ დაცემული ქუჩა.** — მასალა ლიტოგრაფიისათვის. — ქაღალდი, გუაში, ნახშირი, — 70×54

8. **მხატვრის ქალიშვილის პორტრეტი.** — ქაღალდი, ტემპერა, პასტელი. — 80×60

9. **ძველი თბილისი. — ფეთხაინის კიბეები.** — ქაღალდი, გუაში, ნახშირი. — 75×55

1. **Старый Тбилиси — Метехи** — Материал для литографии — бумага, гуашь, уголь — 75×55

2. **Колхозницы — Зарисовки** — картон, пастель — 80×50

3. **Новый Тбилиси — Парк в Ваке** — материал для питографии, бумага, гуашь, уголь — 70×54

4. **Новый Тбилиси — Новый Верийский мост** — материал для литографии — бумага, гуашь, уголь — 70×55

5. **Важа Пшавела — Портрет** — Линогравюра — 65×50

6. **Новый Тбилиси — Цирк** — материал для литографии — бумага, гуашь, уголь — 70×55

7. **Старый Тбилиси — Тенистая улица** — материал для литографии — бумага, гуашь, уголь — 70×54

8. **Дочь художника — Портрет** — бумага, темпера, пастель — 80×60

9. **Старый Тбилиси — Петхаинская лестница** — бумага, гуашь, уголь — 75×55



ვაჟა ფშაველა
Важа Пшавела

ლინოგრავიურა
Линогравюра



თბილისი—ხედი მეტეხზე
Тбилиси—вид на Метехи

ქ. ნ. გ.
Б. У. Г.

## ტაბულების დასახელება

1. მინდვრის ყვავილები — ე. ბაღდავაძისა
2. დასვენების დღე — ე. ბაღდავაძისა
3. კახეთი. ალაზნის ველი — პ. დათებაშვილისა
4. რაჭა. ალპანა — პ. დათებაშვილისა
5. ვაჟაფშაველა მთიულეთში — 905 წელს — გ. კოტრიკაძე
6. ხელი არ წამავლო — გ. კოტრიკაძე
7. ახალი თბილისი — გმირთა მოედანი — ვ. ტოროტაძისა
8. ძველი თბილისი — ნარიყალა — ვ. ტოროტაძისა
9. ვაჟაფშაველა — გ. ჩირინაშვილისა
10. თბილისი — ხედი მეტეხზე — გ. ჩირინაშვილისა.

## Табулы

1. Полевые цветы — Е. Багдавадзе.
2. День отдыха — Е. Багдавадзе.
3. Кахети — Алазанская долина — П. Датебашвили.
4. Рача — Алпана — П. Датебашвили.
5. Важа-Пшавела в Мтиулети 1905 г. — Г. Котрикадзе.
6. Не трон меня — Г. Котрикадзе.
7. Новый Тбилиси — Площадь Героев — В. Торотадзе.
8. Старый Тбилиси — Нарикала — В. Торотадзе.
9. Важа Пшавела — Г. Чиринашвили.
10. Тбилиси — Вид на Метехи — Г. Чиринашвили.

## სარჩევი

1. შესავალი წერილი — ქართულ ენაზე 9—13
2. შესავალი წერილი — რუსულ ენაზე 15—19
3 ეკატერინე ბაღდავაძე 21—26
3. პეტრე დათებაშვილი 27—34
5. გიორგი კოტრიკაძე 35—46
6. ვლადიმერ ტოროტაძე 47—54
7. გრიგოლ ჩირინაშვილი 55—62

უფასო

УЭ 09421 ტირაჟი 120 შეკვეთა № 3002

თბილისი

ფურცელაძის ქ. № 5